ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3236318

ნომერი: AR1490313

თარიღი : 29.03.2017

გაცემის თარიღი : 01.05.2017

გაცნობის თარიღი : 01.05.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , მიმდებარედ (ნაკვეთი 03/037)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , მექანიკურ ავტოსამრეცხაოსა და ქარხანა ,,აგატს" შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა ქუხილავა პ/ნ 01005045040
- ქ. თბილისი, კედიას ქ. 3, ბინა 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: სამსახურის მიერ, №3189980 გადაწყვეტილებით დაგევალათ დოკუმენტაციის წარმოდგენა, ასევე ამავე გადაწყვეტილებით ინფორმირებული იყავით, რომ სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩებოდა განუხილველი. აქედან გამომდინარე, თქვენ მიერ არ იქნა გათვალისწინებული სამსახურის მიერ №3189980 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზები და არ იქნა წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, კერძოდ: - ვინაიდან ტერიტორიის კეთილმოწყობა ხორციელდება ქ. თბილისის მუნოციპალიტეტის ტერიტორიაზე, საჭირო იყო წარმოგედგინათ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით (შესაბამისი დანართით) - სამსახურისთვის განცხადებით ან თანაგანმცხადებლის სახით უნდა მოემართა შ.პ.ს. კოლხის დირექტორს ან მის უფლებამოსილ პირს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.